ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნული ნორმატიული აქტის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით;

გ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

დ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;

ვ) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ზ) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

ბიუჯეტის პროექტი (შემდგომში პროექტი) შედგება 6 პრიორიტეტისგან და პროგრამებისაგან/ქვეპროგრამებისაგან (იხ. პროექტი).

პროექტით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემოსულობების გეგმა შეადგენს 13040300 ლარს. მათ შორის:

გადასახადები - 12080300 ლარი, საიდანაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მიმართულია 10580300 ლარი, ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1500000 ლარით.

გრანტები (ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) - 230000 ლარი;

სხვა შემოსავლები - 730000 ლარი.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, პროექტის მიხედვით 2021 წლის ხარჯები დაგეგმილია 13040300 ლარის ოდენობით, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

01 00 - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3491300 ლარი (26,8%);

02 00 - ინფრასტრუქტურის განვითარება - 3758791 ლარი (28,9%);

03 00 - დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1075000 ლარი (8,2%);

04 00 - განათლება - 2750000 ლარი (21%);

05 00 - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1092909 ლარი (8,4%);

06 00 - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 872300 ლარი (6,7%).

პროექტში ძირითადი ყურადღება ეთმობა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ინფრასტრუქტურის კუთხით იგეგმება შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია:

	დასახელება	**კატეგორია**	**ად ბიუჯეტი** (დაფინანსება ლარი)
1	სოფ.საქობოს II ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	239423.6
2	სოფ.პატარა გვიმრიანის გზის რეაბილიტაცია	გზები	281822.3
3	სოფ.მშვიდობიანში IV-V ქუჩის რეაბილიტაცია	გზები	607526.3
4	სოფ.წითელი გორის და სოფ. ჭიაურის შიდა გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	გზები	531430.8
5	სოფ.ონანაური-აბაშისწილის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზები	216797

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დაფინანსება შეადგენს 2750000 ლარს;

ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრის დაფინანსება შეადგენს 1230000 ლარს;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრის დაფინანსება შეადგენს 818909 ლარს;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დაფინანსება შეადგენს 214000 ლარს;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის დაფინანსება შეადგენს 128000 ლარს.

პროექტში სოციალური დაცვის ბიუჯეტი განსაზღვრულია 744300 ლარით. აღნიშნული თანხით დაგეგმილია შემდეგი პროექტების დაფინანსება:

(ათ. ლარი)

06 02	სოციალური დაცვა	744.3
06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	30.00
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	152.00
06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	244.00
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	48.00
06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	17.00
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	118.00
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	13.00
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	5.00
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	30.00

06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	40.00
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	2.00
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	5.00
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	40.30

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადანაწილდა შემდეგნაირად:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 813300 ლარი;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია - 2308600 ლარი;

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 100000 ლარი;

თანამშრომელთა გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლება) ხარჯი - 30000 ლარი;

გენდერული საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა - 35000 ლარი;

სარეზერვო ფონდი - 80000 ლარი;

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 10000 ლარი;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას მოხმარდება 114400 ლარი.

რაც შეეხება პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, იხილეთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში და პრიორიტეტების დოკუმენტში.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საფინანსო სამსახურის უფროსი: გიორგი მანგოშვილი